ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №133
(კლასიფიკატორის კოდი 72212224)

ბათუმი, დასახლება მწვანე კონცხი 09 სექტემბერი 2016 წელი

ა(ა)იპ-„ბათუმის ბოტანიკური ბაღი“ (შემდგომში–„შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ირაკლი არჩაიას** სახით (შემდგომში–„შემსყიდველი“) ერთის მხრივ, და შ.პ.ს. **„შინდი“** (შემდგომში–„მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით მახარაძის** სახით, მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის", გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის არსებულ ვებ-გვერდის მისამართზე ახალი ვებ-გვერდის შექმნა და მასთან დაკავშირებული მომსახურება, შემდგომში - „მომსახურება“;

1.2. ვებ-გვერდის დაახლოებითი სტრუქტურა:

მთავარი ნავიგაცია:

- მთავარი
- ბაღის შესახებ
  - ბაღის ისტორია
  - მცენარეები და კოლექცია
  - გეოგრაფია და მდებარეობა
  - საინტერესო ფაქტები
- დაგეგმე სტუმრობა
  - სამუშაო საათები
  - ბილეთის ფასები
  - როგორ გვესტუმროთ
  - ჯგუფური სტუმრობა
  - ბაღის რუკა
- ჩვენი მომსახურებები
  - ტურები და ექსკურსიები
  - პიკნიკი და კემპინგი
  - მცენარეების მაღაზია
  - ივენთების / ქორწილის ორგანიზება
- მედია ცენტრი
  - სიახლეები
  - ჩვენი ბლოგი
- კონტაქტი
  - ადმინისტრაციის შესახებ
  - ჩვენი გუნდი
  - მისია და ხედვა
  - პარტნიორები და დონორები
  - დაგვიკავშირდით

საქართველო. მპს შინდი Shindi ADVERTISING COMPANY 445463935 GEORGIA. LIMITED

დამატებითი მენიუ:

- საიტის რუკა
- იპოვე მცენარე ბათუმის ბოტანიკურ ბაღში (ძიება)
- სოციალური ქსელები
- სლაიდერი
-

<u>ასევე შესაძლებელი იქნება მესამე დონის მენიუს დამატება, ძირითადი მენიუ მისი ქვე მენიუებით იქნება სრულად მართვადი. ადმინისტრირების პანელიდან შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტიპის გვერდების დამატება.</u>

1.3. ტექნიკური დავალება

ვებ-გვერდის დიზაინი იქნება სადა და მომხმარებლისთვის ადვილად აღსაქმელი, ნავიგაცია – მარტივი, გვერდებზე მანევრირება – მოხერხებული, ენა - ქართული, ინგლისური, რუსული; ფერების შეხამება, ტექსტის ფონი და ა.შ. შეთანხმდება შემსყიდველთან;

ვებ-გვერდი შესრულებული იქნება PHP+MySQL ტექნოლოგიების გამოყენებით, გაიმართება CMS (არ იქნება Joomla, Drupal, WordPress მსგავსი მზა CMS-ები) მართვის სისტემით და შეიცავს შემდეგ მოდულებს:

- ლოგების ნახვა, გასუფთავება
- მომხმარებლების მართვა/დამატება
- ფაილების მართვის მოდული
- ბაზის სარეზერვო ფაილის გაკეთების მოდული
- შეუზღუდავი მენიუს კატეგორიები/ქვეკატეგორიები
- WYSIWYG რედაქტორი (სურათების ატვირთვის და ჩასმის ფუნქციით);
- ფოტო-გალერეის მოდული (მართვადი, თითოეულ სურათზე შეიძლებოდეს ლინკის მიბმა – jQuery ტექნოლოგია);
- ვიდეო-გალერეის მოდული (მიბმული YOUTUBE –ზე);
- პუბლიკაციების მოდული (სურათის და PDF-ის ფაილის მიბმით);

ვებ-გვერდის მართვას შეძლებს მომხმარებელი, რომელსაც არ აქვს სპეციალური განათლება საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში;

ვებ-გვერდის URL იქნება Frendly
არასწორი ფორმატი: www.domain.ge/?id=21
სწორი ფორმატი: www.domain.ge/event_name/21/

- ადმინისტრირების პანელი მაქსიმალურად მოხერხებულია და დაცული. სტრუქტურა და შიდა მოდულების სისტემა შეიქმნება შემსყიდველთან შეთანხმებით;
- მოხდება ვებ-გვერდის ძირითადი ინფორმაციული შევსება (ფოტო/ვიდეო/ტექსტი);
- სოც. მედია ხელსაწოების მაქსიმალურად ინტეგრირება ვებ-გვერდთან, ვიზუალური შეფუთვა და ტექნიკურად გასწორება;
- ვებ-გვერდი მოერგება მობილურ მოწყობილებებზეც;
- ადმინისტრირების პანელიდან შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტიპის გვერდის დამატება (ფოტო, ვიდეო, კატალოგი, ტექსტური).

Shindi ADVERTISING COMPANY GEORGIA. LIMITED 445413935

2. ანგარიშსწორების ვალუტა

2.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. მომსახურების ღირებულება შეადგენს **4500** (ოთხიათასხუთასი) **ლარს,** მისი დაფინანსების წყაროა **არასაბიუჯეტო** (საკუთარი) **სახსრები;**

3.2. მომსახურების ღირებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი;

3.3.ანგარიშსწორება განხორციელდება გადარიცხვის ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში და მიმწოდებლის მხრიდან პირგასამტეხლოს ჩარიცხვის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

4. მომსახურების შესაბამისობა

4.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თანახმად მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ წესებსა და ნორმებს;

4.2. 4.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს გაწეული მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

5. მომსახურების მიღება – ჩაბარება

5.1. მომსახურების მიღება ჩაბარება გაფორმდება ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის შემდეგ;

5.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად;

5.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ან/და ხელახლა შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს;

5.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ბათუმის ბოტანიკური ბაღის მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსის მ.შ. გივი კლდიაშვილი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება;

6.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებენ მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსის მ.შ. გივი კლდიაშვილი, IT სპეციალისტი ნარიმან დიასამიძე ან\და ამ საქმიანობისათვის საჭირო მოწვეული სპეციალისტი (სპეციალისტთა ჯგუფი);

6.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

გ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

დ) ანგარიშსწორებისას მიუთითოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება და წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია;

ე) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. ფორს-მაჟორული სიტუაციების გარდა, მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობით;

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები;

8.5. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს შემსრულებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მომსახურების, ღირებულების 0.2%-ის ოდენობით;

8.6. პირგასამტეხლოს მიმწოდებელი შემსყიდველს უხდის სახაზინო ანგარიშზე ჩარიცხვის წესით, არაუგვიანეს მომსახურების გაწევის შემდგომ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

8.7. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით;

8.8. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ,) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა და რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე;

9.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე; ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

10. გამოყენებული სამართალი

10.1.ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ხელშეკრულების ენა

11.1.ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, შესრულდება ქართულ ენაზე.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან;

12.2. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე;

12.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

12.4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკების გზით; იმ შემთხვევაში, თუ კონსენსუსი არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

12.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

12.6. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

12.7. ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ხოლო მეორე „შემსყიდველთან".

13. მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2016 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით;

13.2. შესყიდვის ობიექტის ადგილია: ქ. ბათუმი, დასახლება მწვანე კონცხი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

13.3. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედების ვადაა 2016 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით;

14.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ-ბათუმის ბოტანიკური ბაღი	შ.პ.ს. „შინდი"
საიდენტიფიკაციო კოდი:245615963	საიდენტიფიკაციო კოდი: 445463935
მისამართი: ბათუმი, დასახლება მწვანე კონცხი.	მისამართი: ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ.59 სართული 2, ბინა 3.
ტელეფონი: (0422) 27 00 33	ტელეფონი: 577 14 17 48
სახელმწიფო ხაზინა;	ს ს: „თიბისი ბანკი"
შემოსავლის სახაზინო კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა 740717501	ა/ა: GE19TB7724436080100004
დირექტორი ირაკლი არჩაია	დირექტორი დავით მახარაძე

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.ბათუმი, დასახლება მწვანე კონცხი 09 სექტემბერი 2016 წელი

ვადასტურებ, რომ ბათუმის ბოტანიკური ბაღის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, არსებულ ვებ-გვერდის მისამართზე ახალი ვებ-გვერდის შექმნისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვის საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დირექტორი ირაკლი არჩაია

მარკეტინგის დეპარტამენტის
უფროსის მ.შ. გივი კლდიაშვილი

IT სპეციალისტი ნარიმან დიასამიძე